პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 204 (4974)

1973 წ.
16 ოქტომბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

[illegible] [illegible]-73

● კალინინგრადი, 13 ოქტომბერი. წლეულს მესამედ ჩატარდა უძლიერეს საბჭოთა მარათონელთა შეჯიბრება ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" პრიზზე. „ბალტიკის" სტადიონის სარბენ ბილიკზე მოწყობილ ფინიშთან პირველი იყო ტულელი ა. ანისიმოვი — 2:15.29,0. იგი რუსეთის ჩემპიონი გახდა; ამიერიდან ეს შეჯიბრება რსფსრ-ს ოფიციალურ პირველობად ითვლება. II ადგილზეა ა. მაკაროვი (ნაბერეჟნიე ჩელნი) — 2:17.02,0. III ადგილი დაიკავა ვ. რუდენკომ (კურსკი) — 2:17.57,0.

● ვაისვასერი, 14 ოქტომბერი. რიგის „დინამოს" ჰოკეისტთა გუნდმა გდრ-ის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა—გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 3:2 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო".

● ტოლუკა, 14 ოქტომბერი. მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ურუგვაისკენ მიმავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა მექსიკის ამ ქალაქში გამართულ ამხანაგურ მატჩში სძლია გდრ-ის ეროვნულ ნაკრებს — 3:0 (15:10, 15:0, 15:5).



ფინიში ექვსი დღის შემდეგ

აეროპორტიდან ტრეკზე და უკან — ლენინგრადში

წყვილთა ექვსდღიანი რბოლა წლეულს პირველად შეიტანეს ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში. საზღვარგარეთ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს და თბილისელ მაყურებლებშიც ინტერესი გამოიწვია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან სატრეკო ველოსპორტის არც ერთ სახეობაში არაა იმდენი სანახაობრივი ეფექტი, იმდენი სიმძაფრე და თავსატეხი სიტუაცია, რამდენიც წყვილთა რბოლაში.

შეჯიბრების მონაწილენი ყოველდღე ორჯერ იღებენ სტარტს, ესე იგი დღეში 80 კილომეტრს ფარავენ. ჩემპიონი გამოვლინდება შეჯიბრების ბოლო დღეს, მეთორმეტე რბოლის დამთავრების შემდეგ. ასე რომ, წარმატების იმედს ჯერჯერობით არც ერთი წყვილი არ კარგავს. ერთმა რომელიმე რბოლამ, ერთმა გაბედულმა მანევრმა ძირფესვიანად შეიძლება შეცვალოს სატურნირო ბრძოლის სურათი.

გუშინწინდელ, მეექვსე რბოლამდე ა. ხრისტენკო (მოლდავეთი) — ი. კუჩერიავის (უკრაინა) წყვილი ჩრდილში იყო. რბოლას დამაჯერებლად ლიდერობდნენ ჩეხოსლოვაკიელი ველოსიპედისტები (ი ბლაგა — მ. ელინეკი) და ლენინგრადელთა დუეტი (მ. კრასკოვი — ა. დენისოვი), მაგრამ ერთ-ერთ წრეზე შერეულმა წყვილმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, ერთბაშად ჩამოიტოვა მოასპარეზეთა ძირითადი ჯგუფი და სულ მალე ერთი წრით დაწინაურდა. დისტანციურმა უპირატესობამ ხრისტენკო და კუჩერიავი ლიდერებად აქცია. ახლა მათ ფინიშების მოგება აღარც სჭირდებათ. ერთწრიანი უპირატესობა ამ წყვილს არხეინი ცხოვრების უფლებას აძლევს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე სხვა გუნდმა არ მოისურვა ლიდერთა ტაქტიკური ხერხის გამეორება.

წყვილთა რბოლაში სპორტსმენები მხოლოდ ფინიშების მოგებისთვის როდი ზრუნავენ. მათი საბოლოო მიზანი, რა თქმა უნდა, ესაა, მაგრამ რბოლის პროცესში ბევრი რამაა გასათვალისწინებელი. ავიღოთ თუნდაც, მოძრაობის უსაფრთხოება. ყაზახეთის ველოსიპედისტებმა ერთ-ერთ რბოლაში დაარღვიეს უსაფრთხოების წესი და მეტოქე კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენეს. მსაჯთა კოლეგიას, რა თქმა უნდა, არ გამორჩა ეს ფაქტი და დამნაშავე გუნდს 5 ქულა დააკლო. დარწმუნებული ვართ, ამიერიდან ყაზახეთის ველოსიპედისტები უფრო ფრთხილად ივლიან, მაგრამ დაკარგულ ქულებს ვეღარაფერი აღადგენს.

მაქსიმალური სიფრთხილე და ამავე დროს გამბედაობა წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა რბოლაში.

(დასასრული მე- 2 გვ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: წყვილთა ექვსდღიანი რბოლის მონაწილენი ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

კალეიდოსკოპი

ნიკოლაევი, 15 ოქტომბერი. უკრაინის თასის გათამაშებაში მოასპარეზე ნ. ტკაჩენკომ (მაკეევკა) საკავშირო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე თარჯრბენში — 13,2 წამი.

1964 წელს ლენინგრადელი ჯ. ჩიჟოვას მიერ დამყარებული გოგონათა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა, 18 წლის ოდესელმა ნონა აბაშიძემ; მან ბირთვი 16,64 მეტრზე ჰკრა.

მძლეოსნობა

არმიელთა წარმატება

ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის თასების გათამაშება ჩოგბურთში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის წარმატება წილად ხვდათ არმიელ სპორტსმენებს. ცსკა-ს ვაჟთა ნაკრებმა ნახევარფინალში სძლია კიევის „დინამოს" (4:1) და ფინალში შეხვდა დუშანბეს „ტაჯიკისტონს". გადამწყვეტი მატჩი არმიელებმა „მშრალი" ანგარიშით (5:0) მოიგეს და თასის გათამაშებათა ისტორიაში მესამედ მოიპოვეს ეს ჯილდო.

ცსკა-ს ქალთა გუნდმა ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა თასი. ნახევარფინალში მან მოუგო ალმა-ათას უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის გუნდს (5:0). მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტალინის „დინამო" და რიგის ასკ. გაიმარჯვეს ტალინელებმა — 4:1.

ცსკა-მ ფინალური მატჩი ტალინელებს დაძაბულ ბრძოლაში მოუგო — 3:2.

არმიელთა გუნდებში გამოდიოდნენ ევროპის ჩემპიონი ო. მოროზოვა, ე. გრანატუროვა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ვ. კოროტკოვი, ა. ვოლკოვი და შ. ტარპიშჩევი.

ვლადივოსტოკი. ზღვისპირეთის მხარეში ნამდვილი ოქროს შემოდგომაა. ამ დღეებში ამურის ყურის ცისფერი აკვატორიუმი თეთრი აფრებითაა დაფარული. სექტემბერი და ოქტომბერი ზღვისპირეთის აფროსნებისთვის წვრთნისა და შეჯიბრებების ბოლო თვეებია.

ს უ რ ა თ ზ ე: აფროსნები ამურის ყურეში შეჯიბრებებისას.

ი. მურავინის ფოტო (საქდესი).

პირველი მეტოქეები

ბაზელი, 15 ოქტომბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე სსრ კავშირის საუკეთესო გუნდი — ცსკა-ს ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივი როსტოკის „ემპორს" (გდრ) შეხვდება. ასე გადაწყვიტა შვეიცარიის ამ ქალაქში გამართულმა წილისყრამ.

თასის შარშანდელი მფლობელის — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის პირველი მეტოქე სოფიის „ლოკომოტივი" იქნება.

არმიელები პირველ მატჩს მეტოქის მოედანზე გამართავენ ოქტომბრის დამლევს, ხოლო სტუდენტები მასპინძელთა როლში გამოვლენ. საპასუხო შეხვედრები 9 და 15 ნოემბრის შუა გაიმართება.

ხელბურთი

თასი უზბეკეთის მოკრივეებს

ტაშკენტი. 15 ოქტომბერი. უზბეკეთის მოკრივეებმა პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის თასი — ფინალურ მატჩში ანგარიშით 13:8 სძლიეს უკრაინის ნაკრებს.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-სა და სომხეთის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის მოკრივეებმა.

ზემოჩამოთვლილთა გარდა, თასისთვის იბრძოდნენ ბელორუსიის, ყაზახეთის, ლატვიისა და მოსკოვის გუნდები.

კრივი

ჩვენი ძმური რესპუბლიკები

მშდ კომპლექსის მეგობრები

შუა აზიის რკინიგზელთა სპარტაკიადამ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ყველა ასაკისა და კვალიფიკაციის სპორტსმენებს მოუყარა თავი. 16-18 წლის ქალიშვილთა შორის, რომლებიც III საფეხურის პროგრამით გამოდიოდნენ, პირველი ჩემპიონის სახელი მოიპოვა დუშანბელმა მოსწავლემ გ. დოლჟიკოვამ. დუშანბელი ა. პურტოვა სპორტს პირველად მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების დროს ეზიარა, მერე კი „ლოკომოტივის" სტადიონზე „ჯანმრთელობის ჯგუფში" ჩაეწერა.

საბოლოოდ სპარტაკიადაში I ადგილი დაიკავეს დუშანბეს, II—ტაშკენტის, III — ქალაქ მარის წარმომადგენლებმა.

ლ. ჩიბრინი.

დუშანბე.

მიპატიჟება სალაშქროდ

„სალაშქროდ ვიწვევთ ყველა მსურველს" — ასეთ განცხადებას ყოველი კვირის ბოლოს აკრავენ ულან-უდეს ხელსაწყოთსაშენ ქარხანაში. დასვენების დღეებში საწარმოს მუშა-მოსამსახურეები სალაშქროდ მიჰყავთ გამოცდილ ინსტრუქტორებს — საქარხნო ტურისტული კლუბის „კოდარის" წევრებს. მასობრივი ლაშქრობებისთვის დამუშავებულია ორდღიანი მარშრუტები.

ტურისტული კლუბი „კოდარი" ამ სამი წლის უკან შეიქმნა. ენთუზიასტებმა ჯერ ერთდღიანი ლაშქრობები მოაწყვეს ქალაქის შემოგარენში, მერე ბაიკალის აღმოსავლეთ ნაპირების გასწვრივ იმოგზაურეს.

ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი კლუბს დაეხმარა ტურისტული აღჭურვილობის, თხილამურების, ბაიდარების, მოტოციკლების შეძენაში. მოგზაურობისადმი ინტერესმა თანდათან იმატა.

ამ ლაშქრობებში ასზე მეტმა თანამშრომელმა ჩააბარა პირველი სპორტული თანრიგის ნორმები. ორასამდე მუშამ და მოსამსახურემ „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშანი მიიღო. „კოდარის" ანგარიშზე უკვე 18 სხვადასხვა სირთულის მრავალდღიანი ლაშქრობა მოდის.

ულან-უდე.

ბატუტი პოპულარული ხდება

ორენბურგში დამთავრდა მეორე საკავშირო შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ორენბურგელი გ. ზარშჩიკოვა, ლვოველი ა. ვოლინკინი, კრასნოდარელი ტ. იანესი და ტოლიატელი ო. სტარიკოვა, სვერდლოვსკელები ლ. შმელიოვი და ს. ლობანოვი.

საბჭოთა ქვეყანაში ბატუტზე ხტომას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ ეს სახეობა თანდათან პოპულარული ხდება. ამას ადასტურებს ზემოხსენებული შეჯიბრების ფართო „გეოგრაფიაც": ორენბურგში თავი მოიყარეს ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა.

გუნდური გამარჯვება და პრიზი რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ორენბურგი.

საქდესი მოგვითხრობს

საბჭოთა ალპინიზმი 50 წლისაა

რატომ დადიან მთებში

ეს მოხდა 1923 წელს: 28 აგვისტოს მყინვარწვერზე ავიდა თბილისის უნივერსიტეტის 18 სტუდენტი და მასწავლებელი, მათ შორის — ხუთი ქალი, 3 სექტემბერს მწვერვალი დაიპყრო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიციამ.

პირველ ასვლას მეთაურობდა ცნობილი მეცნიერი, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, შესანიშნავი მათემატიკოსი და მრავალმხრივი სპორტსმენი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე (გამყოლი იაგორ კაზალიკაშვილი). მეორე ასვლის ხელმძღვანელი იყო ასევე სახელგანთქმული მეცნიერი, ჰიდრავლიკური ტურბინების კონსტრუქტორი, გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, შემდგომში პირველი ელქტროტრაქტორის შემქნელი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე (გამყოლი გახა წიკლაური).

ქართული ექსპედიციების მიერ მყინვარწვერის დაპყრობის ამბავს მხურვალედ გამოეხმაურნენ სსრ კავშირშიც და უცხოეთშიც. მსოფლიოში პირველი — დიდი ბრიტანეთის ალპური კლუბის დამაარსებელი და ევროპისთვის მყინვარწვერის აღმომჩენი (1868 წლის 19 ივნისს) დუგლას ფრეშფილდი, რომელიც მაშინ 84 წლისა იყო, ამ ამბავმა აღაფრთოვანა...

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა მაგალითმა მამაცთა სპორტი პოპულარული გახადა საქართველოში, რასაც ადგილობრივმა პირობებმაც შეუწყო ხელი: საქართველოს თავს დასცქერის დიდი კავკასიონი, 1500-კილომეტრიანი მთაგრეხილი, რომელზეც ასობით კლდოვანი და თოვლიან-ყინულოვანი მწვერვალია აღმართული, 15 მათგანი აღემატება ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანს (4810 მ), ხოლო შვიდი 5 ათას მეტრზე მაღალია. ამას დაემატა ისიც, რომ სვანებს, რაჭველებს, მოხევეებს, ხევსურებსა და თუშებს აქვთ მთებში სვლის საუკუნეების მანძილზე შემოწმებული ხერხები და გამოცდილებანი, უებრო ალღო, მთების ცოდნა და სიყვარული, რომელსაც ჩვენი მთამსვლელები დაეწაფნენ.

იყო უტევანი — ადგილი სასპარეზო და, ბუნებრივია, რაინდებიც გამოჩნდნენ, რადგან მთამსვლელობა არის სპორტის ისეთი დარგი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანში წინააღმდეგობათა გადალახვის შინაგან სურვილს.

1925 წლის 12 აგვისტოს უნივერსიტეტელები გ. ნიკოლაძის მეთაურობით უკვე დიდი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (5633 მ) ადიან. იმავე წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერს იპყრობს ა. დიდებულიძის ახალი ექსპედიცია...

30-ანმა წლებმა ქვეყანას მისცა ათობით სახელოვანი მთამსვლელი, მათ შორის — და-ძმები ჯაფარიძეები. ალექსანდრა ჯაფარიძე ჯერ კიდევ მყინვარწვერზე ახლდა დიდებულიძის ექსპედიციას. სამაგიეროდ, დამოუკიდებლად გამოვიდა სიმონ ჯაფარიძე: 1926-1927 წლებში მოხევე გამყოლებთან ერთად მან სხვადასხვა გზით ხუთჯერ დალაშქრა მყინვარწვერი.

ხუთწლედის შედეგები (1923-1928 წ.წ.) მთამსვლელობაში ასე აღინიშნა: მოეწყო სულ 21 ასვლა მყინვარწვერსა და იალბუზზე, აქედან 14 — საქართველოს სპორტსმენებისა; ავიდა სულ 203 კაცი, მათ შორის — 26 ქალი. ეს მაშინ, როცა მანამდე მთელი 55 წლის მანძილზე მყინვარწვერზე სულ 26 ასვლა განხორციელდა და აქედან არც ერთი ექსპედიცია ქართული არ იყო.

40-ანი წლები საქართველოში მთამსვლელობის აღმავლობის წლებია: ალპინიზმს ჩვენში ისეთი გასაქანი მიეცა, რომ კავკასიონის თითქმის ყველა მწვერვალზე გაქრა უცხოელთა ბარათები. ქართველ მთამსვლელთა შეერთებულ ძალას თვით მრისხანე უშბამაც ვერ გაუძლო — 1934 წელს დანებდა.

მთამსვლელობის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი მთების მასობრივმა დალაშქვრამ, რომელსაც დაერქვა სახელი — ალპინიადა. უნივერსიტეტის პირველ ალპინიადას 1937 წელს სათავეში ჩაუდგნენ სპორტის ოსტატები — პროფესორი დავით წერეთელი და ალიოშა ჯაფარიძე. ამის შემდეგ ალპინიადები ტრადიციად იქცა — მათში მონაწილეობა მიიღო ათასობით სტუდენტმა და ბევრმა მათგანმა სამუდამოდ შეიყვარა მამაცთა სპორტი. მარტო 1948 წლის საიუბილეო ალპინიადის დროს მყინვარწვერზე ავიდა 502 კაცი! ქართული მთამსვლელობის ისტორიაში ასევე დაუვიწყარია 1963 წლის 11 ოქტომბერი. იმ დღეს უნივერსიტეტის აღზრდილებმა პირველი საბჭოთა ასვლის მონაწილე ღვაწლმოსილმა ქალებმა, აგრონომმა ასმათ ნიკოლაიშვილმა და ელექტროინჟინერმა მარო ტყავაძემ 40 წლის (!) შემდეგ კვლავ შედგეს ფეხი მყინვარწვერზე და ამით თავისებური რეკორდი დაამყარეს. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა მოვიდა ცნობა, რომ თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო 30-ე ალპინიადაში (29 სექტემბერი-8 ოქტომბერი) მონაწილეობა მიიღო ახლა უკვე 70 წლის მარო ტყავაძემ და მყინვარწვერზე კვლავ შიიტანა იერიში...

რატომ დადიან მთებში?

ამ კითხვის პასუხად დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში წერია, რომ ალპინიზმში მეცადინეობით ადამიანს უვითარდება სიმამაცე, შემართება, ნებისყოფა, ამტანობა და უნარი ძნელ ვითარებაში თავის დაჭერისა, უჩნდება თვითდისციპლინის და სხვისადმი დახმარების, ხელის გაწვდენის გრძნობა. მამაცთა სპორტი ამაღლებს, აძლიერებს ადამიანს ფიზიკურად და სულიერად...

ასე რომ, ალპინიზმს ძალუძს წარმოაჩინოს ადამიანში მთვლემარე ისეთი ძვირფასი თვისებები, რომლებიც საჭიროა ყველგან, როგორც ნამდვილი, ისე წარმოსახვითი მწვერვალების დაპყრობისას.

გ. ნიკოლაძე წერდა: „მთასვლა ერთგვარ ნებისყოფას, გამძლეობას და ამასთანავე ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანის ცოდნას, გამძლეობას და ჯანმრთელობას ძლიერ წინ სწევს და მაღალ გრძნობებს უნერგავს. მე მსურს, რომ ამ ჩვენი ასვლის ამბავმა რამდენიმეს მაინც აგრძნობინოს სურვილის ის დაუშრეტელი ცეცხლი, რომელიც მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მას მყინვარწვერზე, ან სხვა რომელიმე მაღალ მწვერვალზე აიყვანს. ასეთებს მივმართავ და ვუსურვებ ჩვენი გამბედაობა გამოიჩინონ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი სიფრთხილე და წინდახედულებაც“.

ს. ჯაფარიძე ამბობდა: „შეუძლებელია ენით აღწერა იმ აღფრთოვანებისა და სულიერი კმაყოფილებისა, რომელსაც მთამსვლელი განიცდის, როცა დაპყრობილი მთის მწვერვალიდან გადმოჰყურებს ქვეყანას... თვით უნდა იხილო ეს თვალწარმტაცი სილამაზე, თვით უნდა დასტკბე მისი სამშვენიერით, თვით უნდა განიცადო ეს აღტაცება, რომ სრულად შეიგრძნო მთის სიდიადე, მისი ზნეობრივად გამასპეტაკებელი და გონებრივად გამათვითცნობიერებელი მნიშვნელობა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება გასაგები მთამსვლელების გატაცება-მისწრაფებანი, მათი ზრახვები და მიზნები. გასაგები გახდება ისიც, თუ რატომ იწყებენ ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო „ბრძოლას“ მიუკარებელი ყინულოვანი მთის მწვერვალებთან“.

სოსო ასლანიშვილის პასუხი ასეთია: „არამც თუ მთელ საქართველოს, არამედ მთელ კავკასს დავცქეროდით და იმ დროს მყინვარწვერზე მყოფნი ვგრძნობდით, რომ სრულიად ახლად ვიშვით. ჩვენს ცხოვრებაში წაიშალა ყოველივე სიბნელით მოცული მომენტები. გაქრა სავსებით პესიმისტური სულისკვეთება, მომავალი კარგი და ლამაზი მომავალი, როგორც ნათელი ვარსკვლავი გადაიშალა ჩვენს წინ, ვიგრძენით სხეულის სიმსუბუქე, სიმჩატე, განვიცადეთ გრძნობათა სილამაზე და სინაზე, გაგვიტაცა ცხოვრებისადმი სიყვარულის გრძნობამ... ასეთ გრძნობათა გამოწვევას ვცდილობთ ყველას გულში, გვინდა ყველანი მას ვაზიაროთ, ყველამ იგრძნოს სილამაზე ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ამისთვის ვადგენთ მთასვლა-მგზავრობის თაყვანისმცემელთა ჯგუფს...“

საბჭოთა ალპინიზმმა სპორტულ-სარეკორდო ასვლებთან ერთად იმთავითვე სამეცნიერო-პრაქტიკული მიზნებიც დაისახა: სწორედ მთასვლური ექსპედიციების წყალობით წაიშალა მრავალი თეთრი ლაქა საბჭოთა ქვეყნის რუკაზე. დასავლეთ კარპატებიდან მოყოლებული კამჩატკის მოქმედ ვულკანებამდე ჩატარდა მთიანი რაიონების გეოგრაფიული, გეოლოგიური, გლაციოლოგიური, ბოტანიკური და სხვა სახის გამოკვლევა. მაგალითად, 1933 წელს მყინვარწვერის კალთაზე (3700 მ) გაიხსნა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური, სადაც დაიწყო და დღესაც გრძელდება კავკასიონის მაღალმთიანეთის მეცნიერული შესწავლა.

1948 წელს იალბუზზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური სხივების შემსწავლელი ექსპედიცია, შემდგომში უკვე მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი და ლაბორატორიის პირველი გამგეები თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილები იყვნენ. მათი მეცნიერული მონაპოვრები ლენინური და სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა.

განსაკუთრებულია ჩვენი მთამსვლელების წვლილი დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტთა სამთო დივიზიის „ედელვაისის“ განადგურებაში.

დიდ კავკასიონზე დავაჟკაცებული თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელები 50-ან წლებში საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციებში მონაწილეობენ, ზედიზედ იპყრობენ პამირისა და ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალებს. 60-ან წლებში ისინი უკვე გასცდნენ სსრ კავშირის ფარგლებს — მოაწყვეს ასვლები შვეიცარიისა და საფრანგეთის ალპებში, ფეხი შედგეს იაპონიის განთქმულ მწვერვალ ფუძიამაზე...

ამ დღეებში პამირიდან დაბრუნდა საქართველოს ალპური კლუბის სასიმაღლო ექსპედიცია, რომლის ძირითად ბირთვსაც კვლავ უნივერსიტეტის აღზრდილები, სტუდენტები და მასწავლებლობა შეადგენდნენ. ექსპედიციამ პამირის მთიანეთში დაიპყრო საბჭოთა ქვეყნის სამი უმაღლესი მწვერვალი: კორჟენევსკაიას პიკი (7105 მ) დღემდე უვალი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქედლით, კომუნიზმის პიკი (7495 მ) და ისევ კორჟენევსკაიას მწვერვალი ძველი გზებით, რომლებიც აგრეთვე ალპინიზმის უმაღლეს 5 ბ კატეგორიას მიეკუთვნება.

ახლა მთამსვლელთა დიდი დღესასწაულის დღეებია. საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ნახევარსაუკუნოვანი იუბილე თბილისში იწყება, ხოლო 22-29 ოქტომბერს აქვე ჩატარდება ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა, რაც პირველად ეწყობა საბჭოთა ქვეყანაში.

ამ დიდ ფორუმზე განხილული იქნება ჩვენს პლანეტაზე მამაცთა სპორტის მდგომარეობისა და განვითარების პრობლემები, მოეწყობა სტუმარ-მასპინძელთა ერთობლივი გასვლა დიდ კავკასიონზე — ყაზბეგის რაიონში, სადაც საბჭოთა ალპინიზმის აკვანი დაირწა.

ვ. მანია.

• • •

სურათზე: მიზნისკენ.,

შ. მირიანაშვილის ფოტო.

ფინიში ექვსი დღის შემდეგ

დასასრული

სადაც ყოველ წუთს იცვლება სიტუაცია, სადაც ყოველი მონაწილე, რიგითი ჯარისკაცისა არ იყოს, გენერლობაზე ფიქრობს..

ასპარეზობაში რამდენიმე ინტერნაციონალური დუეტი გამოდის. ჩეხოსლოვაკიელებს, როგორც ჩანს, სერიოზული გეგმები აქვთ, ვინაიდან პირველივე რბოლიდან ლიდერთა შორის არიან. ფინიშიდან ფინიშამდე იუმჯობესებენ მდგომარეობას ჰოლანდიელებიც. რაც შეეხება უნგრელთა წყვილს, აგერ უკვე ექვსი რბოლაა, არაფერი შველის, თუმცა ამ წარუმატებლობას თავისებური გამართლება აქვს. საქმე ისაა, რომ უნგრელებმა თბილისში ჩამოიყვანეს ორი სპრინტერი. ისინი გამოცდილი ველოსიპედისტები არიან. ერთ-ერთი მათგანი უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონია სპრინტში, მეორე — გიტში. მაგრამ რა უნდა გამოუყვიდეთ სპრინტერებს რბოლაში, რომელიც ექვს დღეს გრძელდება და საბოლოო ჯამში 480-კილომეტრიან მანძილს მოიცავს? ამ შეცდომამ მკვეთრად შეამცირა უნგრელთა წარმატების შანსი თბილისში. ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ რამდენიმე გამოცდილი წყვილი ბუდაპეშტში დარჩა.

სსრ კავშირის თასის პარალელურად თბილისის ველოტრეკზე საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები თამაშდება ორ სახეობაში — ზემოხსენებულ წყვილთა რბოლაში და ქალთა 500-მეტრიან გიტში. აქ უძლიერესის წოდება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ტ. პილიშჩიკოვამ დაისაკუთრა — 37,04. II ადგილი დაიკავა გამოცდილმა მოსკოველმა ოსტატმა გ. ერმოლაევამ (37,88), III — მისმა თანაქალაქელმა ვ. მარკოვამ (38,39).

საგულისხმო ამბავი მოხდა ვაჟთა 1000-მეტრიან გიტში, რომელიც თასის გათამაშების პროგრამით [illegible]. ლენინგრადელი ვ. ოსოკინი აეროპორტიდან პირდაპირ ტრეკზე მოვიდა, გაიარა დისტანცია და.. უმალ ლენინგრადში გაფრინდა. ასე მოიხადა სპორტსმენმა ვალი თავისი კოლექტივის წინაშე. ოსოკინის შედეგი (1.08,94) დიდხანს საუკეთესოდ ითვლებოდა. მაგრამ ბოლოს იგი მოსკოველმა ა. ვორონინმა გააუმჯობესა — 1.08.35. ლატვიელ ი. რეინფელდსს მესამე დრო აღმოაჩნდა — 1.09,37.

იუნიორთა ტურნირში ოსოკინის ბედი გაიზიარა თბილისელმა ვ. ივანოვმა: დიდხანს ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო მისი შედეგის (1.09,05) გაუმჯობესება. ივანოვის წარმატება ეჭვსაც არ იწვევდა, როცა სტარტზე გამოვიდა ყაზახეთის წარმომადგენელი ვ. ჩერნიშოვი, მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელს ხვდა წილად გამარჯვების ბედნიერება: 1000 მეტრის გავლას მან 1.09,01 მოანდომა.

თბილისის ველოსტადიონი ღირსეულად იცავს სარეკორდო ტრეკის რეპუტაციას. აქ უკვე დამყარდა ორი საკავშირო რეკორდი სალიდერო რბოლაში. პირველი ეკუთვნოდა მოსკოველებს მ. მარკოვსა და მ. ზაიცევს, რომლებმაც 50 კილომეტრის გავლას 37 წუთი და 48,42 წამი მოანდომეს. მოსკოველებმა რეკორდი თბილისელთა წყვილს (თ. პროკოპენკო — ი. კავსაძე) ჩამოართვეს. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელებმა, თავის მხრივ, ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს 25-კილომეტრიან დისტანციაზე — 18.31,09.

ვაჟთა სპრინტერული რბოლა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვ. კოპილოვმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. კეპიკიანი (სომხეთი) და ნ. ბოდროვი (ყაზახეთი). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი თანამემამულის მ. გაგნიძის წარმატება — მას VI ადგილი ხვდა. გაგნიძემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი სპრინტში.

შეჯიბრება გრძელდება.

ნ. ახლედიანი.

[illegible]

[illegible] შეცდომა გაიპარა: 64-უჯრიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა პირველობაში II ადგილი მიიღო არა დიდოსტატმა ნ. აბაიძემ (მოსკოვი), როგორც გამოქვეყნდა, არამედ ოსტატ ვ. ცუკერნიკმა (ლენინგრადი). აბაიძე III ადგილზეა.

სსრ კავშირის პირველობა

აუტსაიდერმა ვერ გაუძლო

დონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 14 ოქტომბერი.

ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:3 (1:1).

ასკ: კუდასოვი (ბოიჩენკო), სეროსტანოვი, პანოვი, მოგილნი, ალექსანდროვი, ბონდარენკო (პლეშაკოვი), ი. ჩურკინი, ესკოვი, ვ. ჩურკინი, არუთინიანი, ციბინი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 5:0.

რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, მით უფრო ცხადი ხდება, რომ როსტოვის არმიელებს საგაისოდ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდებათ. 14 ოქტომბრისთვის მდგომარეობის ხსნა თეორიულად ჯერ კიდევ შეიძლებოდა და ამ „თეორიის“ პრაქტიკული განხორციელებისთვის გუნდს თავი არ უნდა დაეზოგა. უკან დასახევი გზა მასპინძლებს არ ჰქონდათ.

რთული ამოცანის წინაშე იდგნენ თბილისელებიც, რომლებსაც საბოლოოდ წამყვან ჯგუფში მოხვედრის შესაძლებლობა აქვთ. ეს გუნდს გაისად უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მისცემს.

სტუმრებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს მატჩის მოგებისთვის და საწადელსაც მიაღწიეს, მაგრამ მაყურებელთა დიდი უმრავლესობა, რომელიც, რასაკვირველია, თავის გუნდს — არმიელებს უჭერდა მხარს, უკმაყოფილო წავიდა სტადიონიდან: როსტოველმა ფეხბურთელებმა ვერ ითამაშეს ისეთი მონდომებით და თავგანწირვით, რომ დაეძლიათ დინამოელთა წინააღმდეგობა. განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს მცველთა მიმართ, რომლებმაც ძალიან სუსტად ჩაატარეს მატჩი. ოთხი მცველიდან ვერ დავასახელებთ ვერც ერთს, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო. თბილისელთა თავდამსხმელებმა, რომლებიც ბოლო ხანებში გამოირჩევიან მაღალი შედეგიანობით, კვლავ გამოიჩინეს თავი და სამჯერ დააწყებინეს მეტოქეს ცენტრიდან თამაში.

ანგარიში დიდხანს არ ჩანდა. ტაიმი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მაჩაიძემ დრო იხელთა და შორიდან ძლიერად დაარტყა — 1:0. სულ ცოტა ხნის შემდეგ არმიელმა ვ. ჩურკინმა კარგად შეარჩია ადგილი და ახლო მანძილიდან გაქვითა გოლი — 1:1.

როსტოველებს მატჩის წარმატებით დამთავრებისთვის მთელი ტაიმი ჰქონდათ წინ, მაგრამ მათი თამაში არც შესვენების შემდეგ გამოირჩეოდა მობილიზებულობით. 47-ე წუთზე ბოიჩენკომ ხელიდან გაუშვა ბურთი ყიფიანის დარტყმის შემდეგ, არეულობაში ძალიან უსუსტოდ ითამაშა ალექსანდროვმა და საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

დინამოელები დაწინაურდნენ, ხოლო, როცა გუცაევმა თავისი გარღვევის შემდეგ შეძლო მცველების მოტყუება და პირისპირ დარჩა კართან, ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ დინამოელები აიღებდნენ მათთვის უაღრესად საჭირო ორ ქულას. გუცაევმა გოლი გაიტანა.

არმიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ იმავე ვ. ჩურკინმა მეორე ბურთი გაქვითა.

ვ. პაშჩენკო.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ჩემპიონატის ქრონიკა

გუშინწინ გაიმართა ჩემპიონატის 27-ე ტურის კალენდარული შეხვედრები.

„შახტიორი“ — „არარატი“ 3:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0). ეს იყო ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა, რომლის შედეგსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონატის სათავეში მყოფი გუნდების შემდგომი განაწილებისთვის. ორივე მხარე ენერგიულად, თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ 90 წუთს შედეგი არ მოჰყოლია. დამატებითმა პენალტებმა წარმატება „არარატს“ მოუტანა.

„დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“ 2:0. კიეველებმა შეძლეს ამ საპასუხისმგებლო მატჩის მოგება, ორივე ბურთი გაიტანეს შესვენების შემდეგ (კოლოტოვი, ბლოხინი) და ქულებით გაუთანაბრდნენ თავიანთ მთავარ მეტოქეებს—ერევნელებს.

„სპარტაკი“ — „ფახთაქორი“ 4:0. ტაშკენტელთა მეკარე ბოკატილოვმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და საშუალება მისცა პისკარიოვს გაეხსნა ანგარიში. შემდეგ მინაევმა მეორედ აიღო „ფახთაქორის“ კარი, ხოლო ბულგაკოვმა სამ წუთში ზედიზედ გაიტანა კიდევ 2 ბურთი.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:3. უკიდურესად დაძაბულ თამაშში თავი გამოიჩინა დინამოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კოზლოვმა, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა „დნეპრის“ კარში.

„ზარია“ — ცსკა 1:0. გოლი გაიტანა კუკსოვმა.

„კარპატი“ — „ტორპედო“ 1:0. ტორპედოელებმა ზედიზედ მეცხრედ წააგეს და I ლიგაში გადასვლის კანდიდატებს შეუერთდნენ. ლვოველებს გამარჯვება მოუტანა ფურსოვის ზუსტმა დარტყმამ.

„დინამო“ (მინსკი) — „კაირათი“ 1:0. მინსკელები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა თავი დააღწიონ სახიფათო ზონას. ამ მატჩში გამარჯვება მათ მოუტანა კლიმოვიჩის მიერ გატანილმა გოლმა.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“ (ერევანი)	27	15	3	9	73—52(46—23)	33
„დინამო“ (კიევი)	27	15	3	9	76—55(43—23)	33
„დინამო“ (მოსკოვი)	27	11	7	9	81—64(39—29)	29
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	27	13	1	13	50—40(35—22)	27
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	12	3	12	67—60(35—27)	27
„დინამო“ (თბილისი)	27	11	5	11	69—57(38—31)	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	27	12	3	12	56—57(27—24)	27
ცსკა	27	10	5	12	68—67(31—31)	25
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	27	8	8	11	83—76(34—37)	24
„კაირათი“ (ალმა-ათა)	27	8	7	12	59—62(23—35)	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	27	8	3	16	89—93(30—27)	19
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	27	8	2	17	54—69(31—41)	18
„კარპატი“ (ლვოვი)	27	7	3	17	48—67(27—47)	17
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	8	0	19	47—66(26—34)	16
„დინამო“ (მინსკი)	27	6	3	18	63—79(18—33)	15
ასკ (დონის როსტოვი)	27	3	5	19	68—87(19—38)	11

I ლიგა

მოგვყავს განვლილი ტურის ორი მატჩის შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:2, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 10:9 (პენალტებით. ძირითადი დრო— 3:3).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	34	21	4	9	100—55(73—33)	46
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	34	22	2	10	86—56(64—30)	46
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	34	18	6	10	78—59(40—29)	42
„ნეფთჩი“ (ბაქო)	34	17	5	12	96—75(55—34)	39
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	34	15	4	15	71—69(43—42)	34
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	34	13	6	15	97—90(38—33)	32
„ტორპედო“ (ქუთაისი)	34	15	2	17	57—60(37—41)	32
„ზვეზდა“ (პერმი)	35	13	4	18	79—79(47—46)	30
„შინიკი“ (იაროსლავლი)	34	14	2	18	74—73(41—33)	30
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	34	11	6	17	100—94(52—49)	28
„კუზბასი“ (კემეროვო)	35	13	2	20	76—87(37—40)	28
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	34	12	3	19	65—76(41—51)	27
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	34	11	5	18	70—82(36—51)	27
„პამირი“ (დუშანბე)	34	12	2	20	65—67(44—42)	26
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	34	11	4	19	72—77(35—41)	26
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	34	10	6	18	73—81(38—52)	26
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	34	11	4	19	73—88(38—52)	26
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	34	11	4	19	57—72(27—42)	26
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	34	9	5	20	72—87(30—47)	23
„ალგა“ (ფრუნზე)	34	4	2	28	60—94(23—51)	10

II ლიგა IV ზონა

12 ოქტომბერი

„დინამო“ (სოხუმი) — „დილა“ (გორი) 4:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:2, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) 0:1, „რევტრუდი“ (ტამბოვი) — „ვოლგა“ (გორკი) 3:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 1:0, „დინამო“ (ვოლოგდა) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 5:7 (პენალტებით. ძირითადი დრო —3:3), „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (კოსტრომა)	32	20	4	8	97—55(58—25)	44
„ლოკომოტივი“ (კალუგა)	32	18	6	8	83—56(49—28)	42
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	31	17	3	11	81—53(58—31)	37
„ზვეზდა“ (ტირასპოლი)	31	18	0	13	53—44(41—29)	36
„დინამო“ (ვოლოგდა)	31	15	5	11	86—67(46—30)	35
„მერცხალი“ (მახარაძე)	32	13	5	14	79—72(40—37)	31
„ვოლგა“ (გორკი)	31	13	4	14	81—68(44—30)	30
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	31	14	0	17	50—50(40—36)	28
„დილა“ (გორი)	32	13	0	19	50—64(41—51)	26
„დინამო“ (ბათუმი)	32	12	1	19	59—65(34—37)	25
„გურია“ (ლანჩხუთი)	31	10	5	16	89—93(42—50)	25
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	31	11	3	17	60—78(35—52)	25
„სპარტაკი“ (რიაზანი)	30	11	0	19	45—56(39—49)	22
„კოლხეთი“ (ფოთი)	31	9	4	18	56—78(24—48)	22
„სატურნი“ (რიბინსკი)	31	8	5	18	60—66(30—44)	21
„დინამო“ (სოხუმი)	31	8	5	18	55—68(28—45)	21
„დინამო“ (ბრიანსკი)	31	9	2	20	78—84(42—45)	20
„რევტრუდი“ (ტამბოვი)	30	9	1	20	50—79(32—56)	19

უმაღლესი ლიგა მოსკოვი

დაწინაურდა სპასკი

IX ტური. ა. კარპოვი (ლენინგრადი) — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) 1:0, ვ. სმისლოვი (მოსკოვი) — ბ. სპასკი (მოსკოვის ოლქი) 0:1, ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — ჟ. გრიგორიანი (ერევანი) 0:1, პ. კერესი (ტალინი) — ო. ავერკინი (სვერდლოვსკი) 0,5:0,5, ლ. პოლუგაევსკი — ე. გელერი (ორივე — მოსკოვის ოლქი) 0,5:0,5, ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — ტ. პეტროსიანი (მოსკოვი) 0,5:0,5. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

კარპოვმა სიცილიურ დაცვაში მივიწყებული გაგრძელება გამოიყენა, მაგრამ მოულოდნელმა მანევრმა კუზმინი ვერ დააბნია და მან დაამთავრა ფიგურების განვითარება. მაშინ კარპოვმა პოზიციური ლავირებით იერიშის წინაპირობა შექმნა. კუზმინმა პაიკი დაკარგა, ცაიტნოტში შეცდა და 38-ე სვლაზე დანებდა.

ვერც სპასკიმ გააოცა სმისლოვი სიცილიურ დაცვაში უცნობი სვლის გამოყენებით. სმისლოვმა მძაფრი იერიში წამოიწყო მეფის ფრთაზე, რამაც ბევრი ენერგია და დრო შეიწირა, მაგრამ მერე ცაიტნოტში მოხვდა, რაღაც გამორჩა და 33-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა.

პეტროსიანსაც გაუჭირდა რაშკოვსკის მუქარის მოგერიება, მაგრამ პრობლემებს მაინც გაართვა თავი და სასურველ ყაიმსაც მიაღწია. მძიმე ბრძოლა გადახდა მ. ტალს (რიგა) მ. ტაიმანოვთან (ლენინგრადი) პარტიაში. გადადებულ პოზიციაში რიგელ მოჭადრაკეს ორი პაიკი აკლია.

ე. სვეშნიკოვი კვლავ ავად იყო, ამიტომ მისი პარტია ა. ბელიავსკისთან (ლვოვი) არ შედგა.

გადადებული პარტიების დამთავრება. სპასკი — პოლუგაევსკი 0,5:0,5, კარპოვი — სპასკი 0,5:0,5, კარპოვი — პეტროსიანი 0:1, ვ. კორჩნოი (ლენინგრადი)— რაშკოვსკი 1:0, სმისლოვი — კორჩნოი 0:1, კორჩნოი — ვ. სავონი (ხარკოვი) 1:0, ტალი — კერესი 1:0, ტაიმანოვი — ტალი 1:0, გელერი — ტუკმაკოვი 0:1, გრიგორიანი — სვეშნიკოვი 0:1.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: სპასკი — 6,5 ქულა, კარპოვი, კორჩნოი — 6-6, პოლუგაევსკი — 5,5, პეტროსიანი, კუზმინი — 5-5.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა კარპოვ—სპასკის პარტიაში. კარპოვის ორი მხედარი და სამი პაიკი ებრძოდა სპასკის მხედარსა და ექვს პაიკს. 59-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. სპასკიმ პოლუგაევსკის უპირატესობა შეუპოვარი დაცვით გააბათილა. ეს ვერ შეძლო კარპოვმა პეტროსიანთან, რომელმაც ზუსტი თამაშით ახალგაზრდა დიდოსტატს პირველი მარცხი აწვნევინა და თავადაც პირველი გამარჯვება იზეიმა.

დღის ნამდვილი გმირი იყო კორჩნოი, რომელმაც სამივე გადადებულ პარტიაში შეძლო უპირატესობის გამოყენება.

ნაავადმყოფარმა სვეშნიკოვმა ისეთი ძალით დალაშქრა გრიგორიანის მეფის პოზიცია (შესწირა პაიკები, მხედარი), რომ 27-ე სვლაზე გაიმარჯვა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

I ლიგა თბილისი

დიდოსტატი დიდი ძალაა

VII ტური. მ. დვორეცკი (მოსკოვი) — რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) 0,5:0,5, ს. ფურმანი (ლენინგრადი)—მ. პოდგაეცი (ოდესა) 1:0, დ. ბრონშტეინი — ი. რაზუვაევი (ორივე — მოსკოვი) 1:0, ი. კლოვანი (რიგა) — რ. ვაგანიანი (ერევანი) 0:1, ს. პალატნიკი (ოდესა) — ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) 0:1, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ა. კუინჯი (მოსკოვი) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — თ. გიორგაძე, ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) — ს. მაკარიჩევი (მოსკოვი), ვ. ოსნოსი (ლენინგრადი) — ვ. ზილბერშტეინი (ორსკი).

ძნელია დიდოსტატთან თამაში. პოდგაეცმა შავებით ჩეხურ დაცვაში თითქოს სწრაფად გაათანაბრა მდგომარეობა, მაგრამ ფურმანმა ლაზიერისა და მხედრების მუქარით ჯერ დაასუსტა მისი მეფის პოზიცია, მერე კი მეტოქეს საკუთარი ლაზიერიც „დააჭერინა“. მაგრამ ეს კარგად გაანგარიშებული კომბინაცია იყო. ბოლოს, როცა ბრძოლა მიწყნარდა, ფურმანს მოსაგები ენდშპილი ჰქონდა.

რაზუვაევსაც თავიდან თანაბარი ენდშპილი ჰქონდა ბრონშტეინთან, მაგრამ შუა თამაშში დიდოსტატის კავალერიამ თავგზა აუბნია ოსტატს. რაზუვაევი უხარისხოდ დარჩა.

ვერც კლოვანმა გაართვა თავი ვაგანიანთან შეხვედრაში წამოჭრილ ამოცანებს და 42-ე სვლაზე დამარცხდა.

VIII ტური. მაკარიჩევი — ბრონშტეინი 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — გუფელდი 0,5:0,5, პოდგაეცი — დვორეცკი 0,5:0,5, ვასიუკოვი — ფურმანი 0,5:0,5, რაზუვაევი — კლოვანი 0,5:0,5, ცეშკოვსკი — ბაგიროვი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ვაგანიანი — პალატნიკი, კუინჯი — ოსნოსი, გიორგაძე — ზილბერშტეინი.

ფურმანმა და ვასიუკოვმა პარტია თერამეტსვლიანი „დიდოსტატური ყაიმით“ დაამთავრეს. მათი მიბაძვა სცადეს ჯინჯიხაშვილმა და გუფელდმა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა ვ. მიკენასმა ამ უკანასკნელთ დაზავების ნებართვა არ მისცა. ცოტა ხნის მერე, როცა პოზიცია გაირკვა, მეტოქენი მაინც ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენ შეხვედრებში ბრძოლა საინტერესო გამოდგა. მაგალითად, ცეშკოვსკი — ბაგიროვის პარტიის ფინალში პირველს ზედმეტი კუ დარჩა, მაგრამ ის ვერაფრით დაეხმარებოდა გამსვლელ პაიკს, რომელიც კუს საწინააღმდეგო ფერის კიდურ უჯრაზე ლაზიერად უნდა გასულიყო.

ბრონშტეინმა მაკარიჩევს პაიკი შესწირა და მერე ველარ დაიბრუნა, მაგრამ მაინც მიაღწია ყაიმს, ისეთი პოზიცია ააგო, რომელშიც მაკარიჩევის ზედმეტი პაიკი გაუფასურდა.

8 ტურის შემდეგ ბრონშტეინსა და ფურმანს 5,5-5,5 ქულა აქვთ, ვაგანიანს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ჯინჯიხაშვილს — 4,5.

თ. გიორგაძე.

რაგბი

სსრ კავშირის პირველობა

ერთი თამაშიღა დარჩა

შაბათსა და კვირას გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრები.

შაბათს ტუშინოში, „ლუჩის" სტადიონზე, ერთ-ერთმა აუტსაიდერმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ლენინგრადის „ბურევესტნიკს" უმასპინძლა. პირველი ტაიმი ფრედ (6:6) დამთავრდა. მოსკოველებს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ფრე ჰყოფნიდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლეს. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს და ვერცხლის მედლები პირველად დაისაკუთრეს.

სწორედ იმ დღეს მონინოში ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა, რომელიც მოსკოვის „ავტომობილისტთან" შეხვედრის პირველ ტაიმში დაწინაურდა (4:0), უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე ვერ შეძლო და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა — 4:4. გაგარინელები ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" კოლექტივმა ეს წოდება წლევანდელი პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე შეინარჩუნა, ამჯერად კი კიევში ადგილობრივი სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის („სპარტაკი") გუნდი დაამარცხა ანგარიშით 13:7.

თბილისის გუნდების „ლოკომოტივისა" და „დინამოს" მატჩმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 9:9.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა და თბილისის „დინამომ" 9-9 ქულა დააგროვეს, მაგრამ, ვინაიდან დინამოელებს ავიატორები ორივე წრეში დამარცხებული ჰყავდათ, უმაღლესი ლიგა მოსკოველებმა დატოვეს. დინამოელებს ერთი მატჩი დარჩათ. როგორც ცნობილია თბილისელებმა პირველ წრეში „ავტომობილისტთან" მოსკოვში წაგებული მატჩის შედეგი გააპროტესტეს. ხელახალი შეხვედრა 21 ოქტომბერს ზვენიგოროდში უნდა ჩატარდეს. გაისად მსი-ს ადგილს დაიკავებს მოსკოვის „ლოკომოტივი", რომელმაც პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ტურნირი მოიგო.

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს ერთმანეთს შეხვდნენ I ლიგის ახალბედები; „ბერნლი" და „ქუინზ პარკ რეინჯერსი". გაიმარჯვა „ბერნლიმ" (2:1) და კვლავ ლიდერთა რიგებში დარჩა.

„ლიდს იუნაიტედმა" სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა „ლეისტერ-სიტისთან", თუმცა აგებდა 0:2-ს.

„დერბი ქაუნთიმ" სტუმრად სძლია „მანჩესტერ იუნაიტედს" (1:0), ხოლო ჩემპიონმა „ლივერპულმა" ასევე სტუმრად ფარ-ხმალი დაყარა „საუთჰემპტონთან" — 0:1.

ლონდონში ადგილობრივი გუნდების „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და „არსენალის" უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში თავი ისახელეს „ტოტენჰემის" თავდამსხმელებმა გილზინმა და პიტერსმა, რომლებმაც მატჩის მიწურულს მეტოქის კარში 2 „მშრალი" გოლი გაიტანეს — 2:0.

აი, ლიდერები:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი"	11	23:7	19
„ბერნლი"	11	21:11	17
„დერბი ქაუნთი"	12	16:10	15
„კოვენტრი-სიტი"	12	14:9	15

შოტლანდია

„ჰართ ოვ მიდლოტიენმა" პერტში აჯობა „სენტ-ჯონსტონს" — 2:0. გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად მოუგო „დანდის" — 1:0. გოლი გაიტანა კალაჰანმა. „ეირ იუნაიტედმაც" ასევე სტუმრად დაამარცხა „დანფერმლაინ ატლეტიკი" — 4:0.

„ჰართ ოვ მიდლოტიენი"	7	19:7	12
„სელტიკი"	6	13:4	10
„ეირ იუნაიტედი"	7	15:9	10
„დანდი იუნაიტედი"	6	11:5	10

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა" თავის მინდორზე მოუგო „ჰაარლემს" — 5:0. როტერდამის „ფეიენოორდმა" შინ უჩვეულო ანგარიშით (7:5) აჯობა „დე გრააფსხაპს".

„აიაქსი"	8	23:7	13
„ფეიენოორდი"	8	23:11	13
„ფკ ამსტერდამი"	8	13:10	11

შვეცია

„ატვიდაბერგმა" შინ სძლია „ერებრუს" (4:3) და ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა. თასის მფლობელმა „მალმემ" საკუთარ მინდორზე მოუგო ლინჩეპინგის „სააბს" — 1:0.

„ატვიდაბერგი"	23	50:26	36
„ესტერი"	23	41:23	27
„მალმე"	23	40:29	27

ბელგია

VI ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო ბრიუსელში, სადაც თასის მფლობელი — ადგილობრივი „ანდერლეჰტი" შეხვდა ლიდერს — მოლენბეკის „რასინგ ვიტს". საინტერესო მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

„რასინგ ვიტი"	6	13:4	9
„სტანდარდი" (ლიეჟი)	6	9:5	9
„ფკ ბრიუჟი"	6	12:6	7

პორტუგალია

ჩემპიონატის სტარტი უჩვეულოა: ტრადიციულმა ლიდერმა — ქვეყნის ჩემპიონმა „ბენფიკამ" (ლისაბონი) პირველი მატჩები სუსტად ჩაატარა და ჯერ IV ადგილზეა. მორიგი შეხვედრა სტუმრად ფარენსეს „სპორტინგთან" მან ფრედ დაამთავრა — 0:0.

სეტუბალის „ვიტორიამ" ავეირუში მოუგო ადგილობრივ „ბეირა მარს" — 3:0. ლისაბონში შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „სპორტინგი" და „ორიენტალი". გაიმარჯვა „სპორტინგმა" —7:0.

„ვიტორია"	5	16:0	9
„სპორტინგი" (ლისაბ.)	5	17:3	8
კუფ-ი (ბარეირუ)	5	10:6	7
„ბენფიკა"	5	7:3	7

დანია

კოპენჰაგენის ბკ 1903-მა შინ სძლია „ოლბორგს" — 3:2.

ბკ 1903	18	36:35	22
„ჰვიდოვრე" (კოპენჰაგენი.)	17	39:28	20
„კიოგე"	18	26:21	20

ავსტრია

ლიდერობა დაისაკუთრა ლინცის „ვოესტმა", რომელმაც სტუმრად აჯობა I ლიგის ახალბედა „ზემერინგს" 3:0.

„ვოესტი"	10	18:7	16
„შტურმი"	10	10:8	15
„სვაროვსკი-ვაკერი" (ინსბრუკი)	9	20:8	13

იუგოსლავია

9 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

„ჰაიდუკი" (სპლიტი)	9	15:8	13
„ჩელიკი" (ზენიცარი)	9	9:3	13
„დინამო" (ზაგრები)	9	13:9	12

რუმინეთი

გათამაშების ლიდერმა — კრაიოვას „უნივერსიტატეამ" სტუმრად მოუგო „უტ არადს" — 4:2. ქვეყნის ჩემპიონმა — ბუქარესტის „დინამომ" აჯობა „რაპიდს" — 1:0.

„უნივერსიტატეა"	9	17:6	16
„კონსტანცა"	9	16:7	13
„დინამო"	9	16:11	13

უნგრეთი

„დოჟა უიპეშტმა" თავის მინდორზე სძლია „ზალაეგერსეგს" — 4:1; დიერის „რაბა ეტომ" ასევე შინ აჯობა ბუდაპეშტის მტკ-ს — 3.1.

„დოჟა უიპეშტი"	8	25:14	14
„რაბა ეტო"	8	13:9	11
„ბანიასი" (ტატაბანია)	8	14:9	11

პოლონეთი

ჩემპიონმა — მიელეცის „სტალმა" შინ მინიმალური ანგარიშით მოუგო გათამაშების ლიდერს — ხოჟუვის „რუხს" — 1:0.

„რუხი"	7	18:6	10
„ვისლა" (კრაკოვი)	7	11:6	10
„სტალი" (მიელეცი)	5	7:3	8

ბულგარეთი

სოფიის „ლევსკი-სპარტაკმა" მოუგო „აკადემიკს" — 2:0. ჩემპიონმა — სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" სძლია „სლავიას" — 2:1.

„ლევსკი-სპარტაკი"	7	14:3	13
ცსკა-„სეპტ. ზნამე"	7	12:4	12
„ლოკომ." (პლოვდივი)	7	12:6	11

ჩეხოსლოვაკია

დიდი ხანია, რაც პრაღის გუნდები ლიდერთა შორის არ ყოფილან, მაგრამ VIII ტურის შემდეგ დედაქალაქის

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„დუკლამ" ყველას გაუსწრო: მისმა ყველაზე საშიშმა მეტოქემ — ბრატისლავის „სლოვანმა" პრეშოვში წააგო „ტატრანთან". — 0:3.

ჩემპიონი — ტრნავის „სპარტაკი" ჯერჯერობით XIV ადგილზეა.

„დუკლა"	7	13:5	11
„სლოვანი"	8	18:13	11
„ტატრანი"	8	14:13	9

(საკ. ინფ.).

მიულერი არ ისვენებს

გასულ შაბათს გელზენკირჰენში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ჩემპიონი — დასავლეთ გერმანიის ნაკრები და საფრანგეთის ეროვნული გუნდი. პირველ ტაიმში ორივე მხარე სწრაფად ბევრს უტევდა, მაგრამ ამაოდ: გოლი არ გასულა.

55-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაცია მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მიულერმა გოლით დააგვირგვინა — 1:0. ზუსტად 5 წუთის შემდეგ მანვე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა მეკარე ბარატელის კარში — 2:0.

ფრანგებმა ამ გოლს რამდენიმე სახიფათო იერიშით უპასუხეს და მატჩის მიწურულს ტრეზორმა ერთი ბურთი გაქვითა — 1:2.

მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კლეფი, ჰიოტგესი (კიულმანი), ვებერი, ბეკენბაუერი, ჰ. კრემერსი, ფლოე, ოვერატი, ჰიონესი, გრაბოვსკი, მიულერი და ე. კრემერსი.

კომენტატორები აღნიშნავენ, რომ, წაგების მიუხედავად, სტუმრებმა კარგად ითამაშეს და ზოგჯერ მასპინძლებს ჩრდილავდნენ კიდეც.

(საკ. ინფ.).

„ლიდერობენ" ძმები ჩარლტონები

როგორც ცნობილია, სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელებმა — ძმებმა ჯეკი და ბობი ჩარლტონებმა შარშან მწვანე მინდორი დატოვეს და მწვრთნელად დაიწყეს მუშაობა. II ლიგაში ბობიმ ჩაიბარა „პრესტონ ნორთ ენდი", ხოლო ჯეკიმ — „მიდლსბრო". და აი, 10 ტურის შემდეგ II ლიგის ამჟამად მიმდინარე გათამაშების ლიდერია „მიდლსბრო", ხოლო III ადგილზეა „პრესტონ ნორთ ენდი".

როგორც ბრიტანული სპორტული პრესა აღნიშნავს, ბობი უდავოდ ჯეკიზე გამოჩენილი მოთამაშე იყო, მაგრამ, თუ ჯეკი დაამტკიცებს უპირატესობას მწვრთნელობაში, მათ შორის „ანგარიში" გათანაბრდება — 1:1.

(საკ. ინფ.).

WM 74

შესარჩევი მატჩები

ლისაბონი, 14 ოქტომბერი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (ევროპის VI ჯგუფი) პორტუგალიის ფეხბურთელებმა ბულგარეთის ნაკრებს უმასპინძლეს.

პორტუგალიელებმა ვერ შესძლეს სტუმრების წინააღმდეგობის დაძლევა და ფრეს დასჯერდნენ — 2:2.

ახლა ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბულგარეთი	5	3	2	0	11—3	8
პორტუგალია	5	2	2	1	9—5	6
ჩრდ. ირლან.	5	1	2	2	4—5	4
კიპროსი	5	1	0	4	1—12	2

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. რუმინეთის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით (9:0) მოუგეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფინეთის ნაკრებს (ევროპის IV ჯგუფი).

მოგვყავს მდგომარეობა ამ ჯგუფში:

რუმინეთი	6	4	1	1	17—4	9
გდრ	5	4	0	1	14—2	8
ფინეთი	6	1	1	4	3—21	3
ალბანეთი	5	1	0	4	2—9	2

მოკრივე უნიკუმი

საბჭოთა სპორტის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. გრადოპოლოვი წარსულში მრავალი წლის მანძილზე დიდი წარმატებით გამოდიოდა რინგზე. თავის დროზე მისი ტექნიკა მისაბაძად ითვლებოდა მოკრივეთათვის. შემდგომ იგი აწარმოებდა მეცნიერულ კვლევას კრივის მეთოდიკის დარგში. პროფესორ გრადოპოლოვის კალამს ეკუთვნის ბევრი წიგნი და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ასეთებია საფუძვლიანი ნაშრომი „კრივი", რომელიც ბევრჯერ გამოიცა, „მოკრივის წვრთნა", „მოზარდ მოკრივეთა წვრთნის მეთოდები" და სხვ.

მანვე დაწერა მეტად საინტერესო წიგნი „უცხოელ რინგის ოსტატთა ტაქტიკა". ამ წიგნში მოკლედაა გადმოცემული პროფესიული კრივის გამოჩენილ ოსტატთა თავისებურებები, ბრძოლის მანერა, სპორტული კარიერა.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან სახელგანთქმულ მოკრივე რ. ფიცსიმონსზე.

სახელგანთქმულმა მოკრივემ რობერტ ფიცსიმონსმა მსოფლიო ჩემპიონობა 37 წლის ასაკში მოიპოვა, იმ ასაკში, როცა მოკრივეები ან უკვე კარგა ხნის ვეტერანები არიან, ან კარიერას ამთავრებენ. საოცარია ისიც, რომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ფიცსიმონსი საშუალო წონის მოკრივე იყო. კრივის ნიუანსებში ოდნავ ჩახედული პიროვნებაც კი მიხვდება თუ რაოდენ ძნელია ეს, თითქმის შეუძლებელიც. ფიცსიმონსი 76 კილოგრამს იწონიდა. თავდაპირველად ამ წონაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იგი მეორე მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ ამ წონაში. პირველი იყო „შეუდარებელი" ჯეკ დემპსი. დემპსი ფიცსიმონსმა დაამარცხა 1891 წლის 14 იანვარს. შემდგომ ამისა, მან იწყო გამოსვლა მძიმე წონის კატეგორიაში ისე, რომ წონა არ მოუმატებია. ფიცსიმონსმა დაამარცხა მძიმე წონის საუკეთესო მოკრივეები, მიაღწია ფინალამდე და 1897 წელს ფინალში ნოკაუტით მოუგო კორბეტს. როცა ქვემძიმეწონითი კატეგორია შემოიღეს, მან ჩემპიონობა მოიპოვა ამ წონაშიც, დაამარცხა რა ჯორჯ გარდნერი 1903 წლის 14 ნოემბერს, თუმცა ორი წლის შემდგომ წააგო ჯეკ ო'ბრაიენთან.

შიფტპონჩი მისი ძირითადი ტაქტიკური ხერხი იყო. იგი ბრძოლის დასაწყისში მარცხენა ხელის ცრუ მოძრაობით აბნევდა მოწინააღმდეგეს, ყურადღებას უსუსტებდა. შემდგომ ამისა სუსტად ურტყამდა, უფრო სწორად უქნევდა მარჯვენას სახის არეში. მეტოქეს აიძულებდა ხელები აეწია ზემო სახის დასაცავად, და მერე მთელი ძალით ურტყამდა მარცხენა აპერკოტს*. იგი მოწინააღმდეგეს მოაჩვენებდა ვითომ მოვსუსტდიო, არეული ნაბიჯით იწყებდა რინგზე მოძრაობას, გაიშხლართებოდა კიდეც ხანდახან. ასე აკარგვინებდა მეტოქეს კონტროლს, შემდგომ კი...

ფიცსიმონსი ცაცია გახლდათ. ეს ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს მოკრივეს, მაგრამ ფიცსიმონსი მუდამ ჩვეულებრივ დგომს ირჩევდა. წინ გაწვდილი ძლიერი მარცხენათი იგი გზას იკაფავდა ჯებისა** და ჰუკის*** მეშვეობით. ინფაიტინგში დიდ წარმატებას აღწევდა ამგვარი ხერხით. ასე უკეთ საზღვრავდა თავის მანევრირებას, უფრო აბნევდა მეტოქეს გრძელ დისტანციაზე, ბრძოლით მოღლიდა, ინფაიტინგში**** კი თავისუფლად მუშაობდა ორთავე ხელით.

მან საოცრად დიდხანს შეინარჩუნა ბრძოლის უნარი (47 წლის ასაკამდე). ამ ასაკში, ასე განსაჯეთ, 13 რაუნდს გაუძლო ავსტრალიის ჩემპიონ ბილ ლანეს.

პროფესიით მჭედელი ფიცსიმონსის აღნაგობა მოკრივისთვის იდეალურად მიაჩნდათ. იმდროინდელი ჟურნალისტის თქმით, მას ჰქონდა მსუბუქი წონის მოკრივის ფეხები, ტორსი — ჩამოსხმული, ჩამოქნილი, ვითა საშუალო წონის მოკრივეს, ხოლო ხელები შესაშური მძიმე წონის ფაიტერთათვის*****

---

*) აპერკოტი — ქვევიდან დარტყმა.

**) ჯები — პირდაპირი დარტყმა.

***) ჰუკი — გვერდითი დარტყმა.

****) ინფაიტინგი — ახლოდან ბრძოლა.

*****) ფაიტერი — მოკრივე, რომელიც გამოირჩევა შეუპოვარი, შემტევი ხასიათით.

ფიშერის ინტერვიუ

ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერის ინტერვიუ.

ფიშერმა განაცხადა, რომ მზადაა უახლოეს ხანში მონაწილეობა მიიღოს რომელიმე თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირში. ამ ბოლო დროს, — თქვა მან, — გულდასმით გავეცანი ლენინგრადისა და პეტროპოლისის საზონათშორისო ტურნირების ყველა პარტიას.

მსოფლიო ჩემპიონმა უარი თქვა ერთ-ერთი იმ პრეტენდენტის დასახელებაზე, რომელთანაც 1975 წელს შეიძლება მატჩის თამაში მოუხდეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს

ა. ჯაფარიძის სახ. საქართველოს ალპურ კლუბში შედგება საბჭოთა მთამსვლელობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციების გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი.

დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66148 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 08533